# დროება

უოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 269 ხუთშაბათი, 3 დეკემბერი 1909 წ. № 269

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეკატერინე რევაზის ასული და სპირიდონ იესეს ძე გაბელაშვილი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—საყვარელ დედის; და მეორე—სიდედრის,

კნეინა თეკლე დავითის ასულის მაყაშვილისას.

გამოსვენება მოხდება დღეს, 3 დეკემბერს, დილის ცხრა საათზე, ველიკოკნიაჟსკის ქუჩა, N 52. წირვა და პანაშვიდი კუკიის სასაფლაოს ეკლესიაში.
(1—563—1)

წარმოდგენა № 20. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 20.

აბონიმენტი მე 8

შაბათს, 5 დეკემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა **პართენ გოთუასი.**

## პარტიის კაცი?!

პიესა 4 მოქმედ. პართენ გოთუასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, ბ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. გრიშაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ზამთელი, კ. მესხი, მურვანიშვილი, შგალობლიშვილი, ი. ზარდალიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, შ. საფაროვი და ვ. ურუშაძე.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

**ვისაც აბონემენტის ფული შემოტანილი არ აქვს სრულიად, თეატრში არ შეუშვებენ.**

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა ვ. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან“ ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები და იკერება ტანისამოსი. „ნერონი“, 10 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „წყურვილი“, ახალის დეკორაციებით.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

საიუბილეო **ავლაბრის თეატრი** წარმოდგენა

(დირექცია ამო-ხარაზიანი)

**კვირას, 6 დეკემბერს, 1909 წ.**

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

**30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად**

ქართველთა და სომეხთა დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა შეერთებულ დასების მიერ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

1. ქართულად **ორი ობოლი** მე-5 მოქ. დენიერისა, თარგ. ცაგარლისა.

2. სომხურად **დაქცეული ოჯახი** მე-3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

3. ქართულად **ხანუმა** 1-ლი მოქ. ა. ცაგარლისა.

4. საკონცერტო **განყოფილება**

რომლის დროსაც ქართულ-სომხურ დრამატიულ ხელოვნების მოყვარულნი მიულოცავენ იუბილიარს დღესასწაულს. ქართული მომღერალთა გუნდი შეასრულებს რამდენსამე სიმღერას ბ-ნ ჩარკვიანის ლოტბარობით, ხოლო სომხურ მომღერალთა გუნდი ბ-ნ მურადიანისა.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ◆ **ადგილების ფასი 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

ამ წარმოდგენის შემოსავალი გადაეცემა გაბუნია-ცაგარელს.

ვისაც სურს დღესასწაულში მონაწილეობა მიიღოს, უნდა მიმართოს ავლაბრის თეატრში ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე ბ. საფარიანს.

რეჟისორი **ს. სვიმონიძე.** გამგე **თ. ნასიძე.**

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
(წლ.—ნ.—220)

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის**

## ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე



## მათრახი

და სალამური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

## პრემიათ გაეგზავნება

## ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მან.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლად შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს, პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მან. 50 კაპ. დანარჩენი 2 მან, 50 კაპ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **აზიანი, ბლიაძე, განჯის-კარელი, ეშმაკი, ვოლდემარი, ზომლეთელი, თურდოს-პირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პიტნ, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა** და სხვანი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.
(10—6.—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. ½—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით.
(100—ნ.—53)

## გლეხი-კაცის ისტორია

**მიიღება ხელის მოწერა გლეხი კაცის ისტორიაზე**

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

**შინაარსი წიგნისა:**

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდინ, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

**ხელის მოწერა მიიღება შემდეგ ადგილებში:**

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე **ვასილ გადილია.**

13 დეკემბრიდან ტფილისში გამოვა ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი

## ასეთი

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი). ლექსები, კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე ბიბლიოგრაფიები, შესანიშნავ მწერალთა ბიოგრაფიები და სხვა.

მონაწილეობას მ ღებენ: ნ. აზიანი, ახსოსპირელი, ბ. გელა, კ. გოგოლაძე, ივ. გომართელი, ნ. ზომლეთელი, მ. იასამანი, პ. ირეთელი, ა. ლალიონი. ლეო, რ. ლეჩხუმელი, ვ. მალაქიაშვილი. ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაყდენიძე, ტ რამიშვილი, ვ. რუხაძე, ფ. რუშაველი, ვ. ტუქსიშვილი და სხვანი.

პირველ ნომრიდან დაიწყება ბეჭვდა ივ. გომართელის კრიტიკულ წერილებისა ქართულ ლიტერატურაზე.

ამათანავე, იანვრიდან თვეში ერთხელ ჟურნალთან ერთად გამოვა კრებული «ს ხ ი ვ ი», მოზრდილი წიგნი. წიგნს ფასი შემდეგ იქნება გამოცხადებული.

კვირეულ ჟურნალში პროვინციის განყოფილებაც იქნება.

წერილები კორესპონდენციები ერთ გვერდზე გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. დაუბეჭდავ დიდრონ მოთხრობებს და ლექსებს რედაქცია ერთ თვეს შეინახავს, რომლის განმავლობაში უნდა მოიკითხონ ავტორებმა, მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს.

ჟურნალი ეღირება ერთი წლით 5 მან., ნახევარი წლით 2 მან. 50 კაპ. ერთი თვით 50 კაპ. თითო ნომერი 10 კაპ. ვინც ამ თავიდან გამოიწერს და მთელი წლის ფულს შემოიტანს დეკებრის ნომრებს უფასოდ მიიღებს.

პროვინციაში ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში წიგნის მაღაზია «იმერეთში» ის. კვიცარიძესთან, სამტრედიაში რკინის გზის შკაფში ჟ. კოპალეიშვილთან, ბათუმში რკინის გზის შკაფში გ. მახარაძესთან, ჭიათურაში ვ. რუხაძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, სიდისთავში ე. ლომთათიძესთან და სხვა...

წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს დროებით: Тифлисъ, типографія „ПЕЧАТНОЕ ДѢЛО“ Вельяминовская N 6, Поліевкту Антоновичу Каландадзе.
(3—1)

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

## მ. ა. გაჩონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:
(3—2) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია).
(0—67)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა.
(უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა.
(უ)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიეისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ჩუთხე).
(100—ზალ.—75)

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა** იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასად. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: აგჭალის ქუჩა, N 34.
(25—ნ.—13)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ შედეგი, ბუასილი და სხვ. დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე.
(100—ზალ.—61)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., საფლი ფირალოვისა.
(0—კვ.—116)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამბრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა,
(0—586—310)

**ქუთაისი მასაჟით სამკურნალო კაბინეტი მ. ტ. ბალანჩივაძისა.** ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში.
(25—ნ.—12)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791.
(0—ნ.—120)

**ექიმი გ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს. მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა.
(100—ზალ.—56)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი.
(0—უ.—63)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად 1—2 ს.
**ი. ეგიაზაროვი**—ნერ და შინ. 11—12 ს
**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან.
(100—ზალ.—72)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრ.-დ. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით.
(100—ნ.—58)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9.
(უ)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.
**ბოყოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ჩუდნოვსკი**—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.
**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის შრატით.
(00—ნ.—123)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ვკისრულობ დაცვას**

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. გაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას სახელმწ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საანგარიშო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4.
(წ.—ნ.—11)

## მებაღეობა ძმ. ავსარქისოვებისა

იყიდება ხეხილის ხეები საუკეთესო საზღვარ-გარეთელ და ადგილობრივ ჯიშებისა. არის აგრეთვე დეკორატიული მცენარეები. კატალოგი ეგზავნება ყველას უფასოდ პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ადრესი: Ст Скра Закавк. К. Жел, Дороги,
(15—ф—К


## ტფილისი, 3 დეკემბერი

გუშინ გვქონდა ლაპარაკი ბ-ნ მოხეილ მაჩაბლის შეუფერებელ სიტყვის გამო, რომელიც წარმოსთქვა მან რუსეთის თავად-აზნაურობის ამომრჩეველთა წინაშე და რომლითაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩირქი მოსცხო ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ მოღვაწეობას. დღეს უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ბ-ნ მაჩაბლის სიტყვისათვის მიუქცევია ყურადღება თვით „ზაკავკაზიეს“ ერთ თანამშრომელსაც ბ-ნ დ. კანს. ამ სიტყვას დ. კ-ნის თავში „სამწუხარო ფიქრები“ „грустныя размышленія“ ალუძღვის. მკითხველი იფიქრებს, ალბად დ. კანმაც იუცხოვა ბ-ნ მაჩაბლის სიტყვა და ის უცნაური ბოდიში, რომელიც მან მოხადა ილია ჭავჭავაძეს დეპუტატ მარკოვის წინაშე და ორიოდე შენიშვნას, ზრდილობიანს და კეთილ-სინდისს, გამოსთქვამს ბ-ნ მაჩაბლის მჭერმეტყველობის შესახებაცაო. მაგრამ დ. კანი რა თანამშრომელი იქნებოდა

„ზაკავკაზიეს“-ი, ბ-ნ მაჩაბლის აზრებისთვის რომ რაიმე წუნი დაედო. მისი „სევდიანი ფიქრები“ ბ-ნ მარკოვის მიერ ყოფილა გამოწვეული. ბ-ნი დ. კანი შეძრწუნებულია, აღშფოთებულია. ილია ჭავჭავაძე ხომ მაკ. კოვალევსკის და კუზმინ-კარავაევთან ერთად მოქმედებდა და განა შესაძლებელია იმისი თქმა, რომ ეს უკანასკნელნი „ხელმწიფის გვირგვინსა სწვდებოდნენო“. მართალია, ჭავჭავაძე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ამ ბარბაროსობის წინააღმდეგ ხომ თვით პროფესორი ტაგანცევია. მაშ ნუ თუ ტაგანცევიც „მტერია სახელმწიფოსიო“. ასე ჰგოდებს დ. კანი ბ-ნ მარკოვის უსამართლო ბრალდების გამო და თანაც დასძენს: საჯაროთ უნდა გამოვტყდეთ, გვეფიქრება იმ ქვეყნის მაგალითი, სადაც ვალიაიმარკოვები ჰქმნიან პოლიტიკურ ატმოსფერას და უდგანან მმართველობას სათავეში.

ბ-ნ დ. კანის შიში და გულისწყრომა ფრიად პატივსადებია. „კონსტიტუციონალურ“ გაზეთის თანამშრომლისათვის მოსაწონიც არის, რომ დროგამოშვებით მემარჯვენეების წინააღმდეგ შეტევის სურვილი ებადება ხოლმე გულში. ამ შეტევით ფასი ედება „ზაკავკაზიეს“ სარედაქციო წერილებსაც, სადაც კონსტიტუციონალური რწმენა როგორღაც უიმედოდ გამოსჭვრიტს ხოლმე. მაგრამ... მაგრამ, ბატონებო, ბ-ნი მაჩაბელი რატომ დაივიწყეთ და ერთი სიტყვითაც არ გაჰკიცხეთ იგი იმიტომ, რომ მისის აზრითაც, თანხმად ბ-ნს მარკოის აზრისა, „სახელმწიფოს მტერთა“ გუნდში ჩაირიცხება ყოველი ადამიანი, ვისაც წუნს პურიშკევიჩი და მარკოვი დაუდებენ; არ გაჰკიცხეთ არც იმიტომ, რომ ბ-ნმა მაჩაბელმა არა სთქვა-რა მარკოვის წინააღმდეგ და მხოლოდ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე დაეყვავებინა მარკოვი, გაეყუჩა მისი შავრაზმული წყრომა ილ. ჭავჭავაძისადმი და დაერწმუნებინა, რომ მარკოვი, მაჩაბელი და ჭავჭავაძე ერთ სულ და ერთ ხორც არიანო.

ჰო, გვესმის ლიბერალ და რადიკალ აზრების გამოფენა გაცილებით უფრო ადვილია, როდესაც ლაპარაკი გვაქვს შორეულებზე და უცხოელებზე. ხოლო ამგვარივე რადიკალიზმის გამოჩენა შინაურ საქმეების აწონ-დაწონვის დროს „საკიულო ტიზმით“ უნდა იყოს მონათლული. გულს მალამო ეცხობა, როდესაც ხედავ „კონსტიტუციონალურ“ პრინციპების ამ ხასიათის გულწრფელ და შეუპოვარ მებრძოლებს!..

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 დეკემბერი.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: სპარსეთის მთავრობამ ინგლისის და რუსეთის საელჩოებს მიმართა, ხელი შეგვიწყეთ, რომ 5,000,000 მანეთის სესხი ავიღოთო.

**თავრიზი.** გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით ჩამოახრჩეს ორი კაცი. ბრალდებოდათ მკვლელობა. ერთი მათგანი სათარ-ხანის ნათესავი იყო. ბაგირ-ხანის ფიდაებმა სულ ერთიანად აიკლეს სერბიის ახლო მდებარე სოფლები.

რუსეთის საკონსულომ გენერალ-გუბერნატორის პატივსაცემლად ნადიმი გამართა. ნადიმს ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ხმა დადის, სამსახურიდან გადააყენებენ ეხლანდელ გენერალ-გუბერნატორს მუხდურესეს-სალტანეს და მის ადგილზე ეინუდ-დოულეს, ან ალაუდ-დოულეს დანიშნავენო.

### საზღვარ-გარეთ

**ვენა.** ფრიდიუნგის პროცესი. ამ ჟამად ავსტრიაში ირჩევა სენსაციური საქმე. ფრიდიუნგის ჩვენებით რეიხსტაგის რამდენიმე დეპუტატი სამართალში მისცეს. ბრალდებათ სერბიისაგან ფულის აღება და ავსტრიის საწინააღმდეგო მოქმედება. თავის ნებით სასამართლოში მოწმედ გამოცხადდა პროფესორი მარკოვიჩი. მარკოვიჩმა სთქვა: ყოველივე საფუძველს მოკლებულია ფრიდიუნგის მტკიცება, საზოგადოება „სლავიანთა სამხრეთი“ შეთქმულთა კლუბიაო. საზოგადოებას თავის დღეში საიდუმლო კრებები არ გაუმართავსო. სასამართლომ არ შეიწყნარა ბრალმდებელის შუამდგომლობა, მივმართოთ პეტერბურგში ავსტრიის საელჩოს, რომ ეს უკანასკნელი შეეკითხოს დეპუტატ მილიუკოვს, გადასცა მათ საზოგადოება „სლავიანთ სამხრეთს“ 2000 მანეთი პატრონების და იარ-ღის სასყიდლად, თუ არაო.

**ვალდივია** (ჩილი). გადაიწვა ქალაქის დიდი ნაწილი. სხვათა შორის დაიწვა დამოენის სადგური.

### რუსეთ იაპონია.

**პეტერბურგი.** ამ უკანასკნელ დროს ხმა დადის, რუსეთსა და იაპონიას შეტაკება მოუვათო. გაზეთები სავსეა შორეულ აღმოსავლეთიდან მოსულ ამბებით მოსალოდნელ ომის შესახებ. სამწუხაროდ საზოგადოების დიდ ნაწილზე გავლენას ახდენს ეს ხმები და აღელვებას იწვევს. ნამეტან დიდ გავლენას ეს ხმები შორეულ აღმოსავლეთის მცხოვრებლებზედ ახდენენ. შორეულ აღმოსავლეთში ისე აღელვებულნი არიან ამ ხმებით, რომ აღარ იციან რა ჰქნან. მრეწველები და ვაჭრები მთავრობას ეკითხებიან, შესაძლებელია მშვიდობიანობის დაცვა თუ არაო. საიმპერატორო მთავრობას არ შეუძლიან გულ-ხელ დაკრეფილი უყუროს ასეთ მოვლენას და კატეგორიულად აცხადებს, რომ რუსეთს და იაპონიას შორის არავითარი ომი არ არის მოსალოდნელი. რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ ორმა წელმა გავლო და ამ ხნის განმავლობაში რუსეთის მთავრობამ იაპონიასთან სხვა-და-სხვა ხელ-შეკრულება დასდო. ამ ხელ-შეკრულებებით რუსეთის მთავრობას სურდა ხელი შეეწყო ორივე სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიურ მშვიდობიან განვითარებისთვის. დიდი მნიშვნელობა აქვს 1907 წელს დადებულ ხელ-შეკრულებას, რომლითაც უზრუნველ-ყოფილია ორივე სახელმწიფოების შორეულ აღმოსავლეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობა 1907 წლიდან რუსეთ-იაპონიას სხვა-და-სხვა საკითხებში სერიოზული უთანხმოება არ მოსვლიათ, პირ-იქით როგორც გარეშე საქმეთა მინისტრის ცნობებიდან და ფინანსთა მინისტრის შთაბეჭდილებებიდან (ფინანსთა მინისტრი შორეულ აღმოსავლეთში იყო და ამ დღეებში დაბრუნდა იქიდან) სჩანს, ომი მოსალოდნელია არ არის და ორთავე სახელმწიფოები სცდილობენ ესა თუ ის საკითხი მშვიდობიანად გაათავონ.

### რ უ ს ე თ ი

**ნოვოჩერკასკი.** სოფელ კამენსკოიში აღმოაჩინეს ყალბი ფულის ქარხანა. იპოვეს 32,475 მანეთი, სულ ყალბი ოც-და-ხუთ მანეთიანი ბილეთები. დააპატიმრეს სახლის პატრონი და 9 კაცი.

**პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია პოდპორუჩიკ მუდზალევსკის საქმე. რუსეთ-იაპონიის ომის დროს მუდზალევსკის თავის უფროსებისთვის უცნობებია, მგლის გორაზე ესა და ეს საგმირო საქმე ჩავიდინეო, რისთვისაც ჯილდო მიუღია. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მუდზალევსკის უფროსებისთვის ყალბი ცნობები მიუწოდებია. სასამართლომ მუდზალევსკის გადაუწყვიტა: ზოგიერთ უფლებების და გიორგის ჯვარის ჩამორთმევა და 16 თვით ციხე. სასამართლოს განაჩენს ხელმწიფეს წარუდგენენ.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია ჟურნალისტ ვოლდოვოზოვის საქმე. ბრალდებოდა გაზეთ „ნაშა ჟიზნში“ წერილის დაბეჭდვა, რომელშიაც ხალხს ჯარზე ამხედრებდა. სასამართლომ ვოლდოვოზოვს ერთი წლით ციხე გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს კომისიამ მოიწონა მთავრობის კანონ-პროექტი, რომლითაც მღვდლების ჯამაგირების გასადიდებლად ყოველ წლივ უნდა გადაიდოს 580,000 მანეთი.

**პეტერბურგი.** დღე ღამეში ხოლერით ავად გახდა 5, არავინ გარდაცვლილა, ავად არის 31 კაცი.

**მოსკოვი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა 8 კაცი.

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **რუსების ჩამოსახლება.** როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, პოლიტიკანების პროპაგანდით დარწმუნებულნი, რომ ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში აუარებელი თავისუფალი ადგილია, რუსის გლეხობის „ხოდოკები“ მოუდვენენ ჩვენს ქვეყანას და ეძებენ ადგილებს. როგორც ვიცით, სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ტფ. განყოფილებას ბევრი ადგილი აქვს დარჩენილი. აი, ამ ადგილებს ასაღებენ ეხლა. გუშინ 20 „ხოდოკი“ მოვიდა განჯის გუბერნიიდან, სადაც მათ დაუთვალიერებიათ აღნიშნულ საადგილ მამულო ბანკის მამულები. „ხოდოკებს“ ეს ადგილები (რამდენიმე ათასი დესეტინა) არ მოსწონებიათ, რადგან უწყლოა ეხლა ტფილისის გუბერნიაში აპირებენ ადგილის მოძებნას.

✦ **ჯოჯოხეთის მანქანით აფეთქების განზრახვა.** სამშაბათს, 1 დეკემბერს, ტფ. პოლიციის მე-9 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე (სახლი № 5) მცხოვრებ ტფ. სამაზრო სამართველოს მდივნის ინდუაშვილის ბინის კარებში ვიღაცას ზარი ჩამოურეკია. ხმაზე თვითონ ინდუაშვილი გამოსულა აივანზე და შეჰკითხებია უცნობს, ვინა ხარო. სტრაჟნიკის ტანისამოსში გამოწყობილ უცნობს უპასუხნია: სართიჭალის ბოქაულისაგან თქვენთან ამანათია და გთხოვთ მიიღოთო. როდესაც მსახურ ქალს შესავალი კარები გაუღია, უცნობს გადაუცია დაკლული ქათამი და 20 ჩუჩხელა, თვითონ კი შეუტანია და სასტუმრო ოთახში მაგიდაზე დაუდვია 1 ნახ. ფუთის სამძიმე ყუთი. უცნობს ინდუაშვილი შეჰკითხებია, შენ თვითონ ვინ ხარო. „სართიჭალის ბოქაულის დარაჯი ვარ, ეს ყუთი ბოქაულმა გამოგიგზავნათო“, უთქვამს დარაჯის ტანისამოსში გამოწყობილს, გამოსულა ქუჩაში და მსწრაფლ მიმალულა. ინდუაშვილს ყუთი საეჭვოდ მიუჩნევია, ხელი არ უხლია და ეს ამბავი პოლიციის მე-9 ნაწილში უცნობებია. მილე მისულან პოლიციელნი და სპეციალისტნი. გამოურკვევიათ, რომ ყუთში მოთავსებული ყოფილა ჯოჯოხეთის მანქანა საშინელის ძალისა. 2 დეკემბერს, ნაშუაღამევის 3 საათზე, ყუთი ფრთხილად გაუტანიათ და მტკვრის პირად ვოდოპოდიომნის დალმართზე აუფეთქებიათ. ყუთისთვის ნავთი გადაუსხავთ ცეცხლი მოუკიდებიათ. ცეცხლის რამდენიმე წამის შემდეგ მანქანა საშინელის ხმით აფეთქებულა. ჰაერში აფრენილა ცეცხლის ბურთები, იქ, სადაც მანქანა აფეთქეს, ადგილი ამოგლეჯილია, იმდენად ძლიერი ყოფილა აფეთქება. პოლიცია შეუდგა გამოძიებას.

✦ **ნავთი ბაღდათში.** ბაქოს გაზეთებს ტფილისიდან დეპეშით ატყობინებენ: ტფილისში ჩამოვიდნენ ლონდონიდან ინჟენრები, რომელნიც მიდიან ქუთაისის გუბერნიაში ბაღდათის ნავთიან ადგილებს გამოსაკვლევად.

✦ **ქართული შინა-მრეწველობის საზოგადოება.** ტფილისში არსდება ქართული შინა-მრეწველობის საზოგადოება. წესდება უკვე წარუდგენიათ გუბერნატორისათვის. საქმის ინიციატორები არიან გ. ყაზბეგი, ე. იოსელიანი, დ. [illegible]შვილი, მაღალაშვილი და სხვები.

✦ **ქალთა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.** ამას წინად ფოთის ქალაქის თვით-მართველობამ შუამდგომლობა აღძრა, დაარსდეს ფოთში ქალთა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. ამ შუამდგომლობის გამო სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შეეკითხა კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რა დარგის სკოლა უფრო შეეფერება ფოთსაო. ამასთან მზრუნველი ეკითხება საზოგადოებას, აცნობოს ისიც, ზუგდიდის მაზრის რომელიმე ადგილი უფრო გამოადგება ამგვარ სკოლისთვის.

✦ **თანამდებობაზე დამტკიცება.** კავკ. ნამესტნიკმა დაამტკიცა თანამდებობაზე სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა მარშლად არჩეული თავ. მალხაზ ანდრონიკაშვილი.

✦ **იუბილეი.** ნ. გაბუნია-ცაგარლისას იუბილეის დროს, კვირას, სხვათა შორის, წარუდგა დეპუტაცია ქართველ ქალთა სამკერვალოსკოლისა და მიართვა მშვენივრად ნაკერი სარტყელი მოწაფეთაგან და ძვირფასი კალათი ყვავილებით და ყურძნით.

✦ **მოსწავლეთა დათხოვნა ფულის შეუტანლობისათვის.** ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში სასწავლო ფული ბევრმა მოსწავლემ ვერ შეიტანა. სკოლის საზოგადოების დადგენილების თანახმად საპედაგოგიო საბჭომ 25 პროც. ღარიბ მოსწავლეთა უკვე განთავისუფლა სწავლის ფულისაგან, ხოლო რადგან შეძლებულთა შვილებს ფული არ წარუდგენიათ, გიმნაზიის ადმინისტრაცია იძულებული გახდა სასწავლო ფულის შეუტანლობისათვის მოწაფენი დაეთხოვნა.

✦ **ხოლერის მოლოდინში.** ბაქოში შესამჩნევად გაძლიერდა ხოლერა. რადგან შესაძლებელია სენი ტფილისსაც ეწვიოს, ტფ. ქალაქის თვით-მმართველობა შეუდგა თადარიგს. 1 დეკემბერს მოხდა სხდომა ქალაქის სასანიტარო ზედამხედველებისა და უბნის ექიმებისა. სხვათა შორის დაადგინეს, დიდი ყურადღება მიექცეს ქალაქის დასუფთავებას.

✦ **ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.** უკვე აღვნიშნეთ, რომ ტფ. ქალაქის საბჭომ წარსულ ორშაბათს 1910 წლის შემოსავლის აღრიცხვის

# ახალი დრამა

(„სამეგრელოს მთავარი ლევან“, ისტ. დრამა ვასილ ციფიანისა)

ქუთაისის დრამატიულმა საზოგადოებამ ქუთაისის საზოგადოებას მართლაც რომ სადღესასწაულო წარმოდგენა გაუმართა. ახალი პიესა, ისიც ქართული ისტორიული დრამა, შეძლებისდაგვარად ჩინებული mise en scène—ანუ ჩინებულად დადგმული,—ყველა ეს ხელს უწყობდა მართლაც რომ სამეჯლისო წარმოდგენას. ორიგინალურ პიესებს დახარბებული ვართ, ისტორიული პიესები ყველას ძლიან გვიყვარს და განსაკუთრებით ეტანებიან ამ გვარ პიესებს სწორედ ისინი, ვისგანაც თითქო უფრო ნაკლებად უნდა მოველოდეთ ჩვენის ისტორიის ყურის გდებას. მე ვგულისხმობ იმ წრეებს ჩვენის საზოგადოებისას, რომელთა შორისაც ლოზუნგს „მეზიზღება ჩემი წარსული“ დიდი გასავალი აქვს... ჰქონდა ერთ დროს მაინც.

რასაკვირველია, ყველა ეს ვერ მოუპოვებდა ამ წარმოდგენას დამსახურებულს ინტერესს, თუ თვით დრამა არ იყოს ფრიად საყურადღებო. ჩვენს ისტორიულ დრამატიულ ლიტერატურაში ეს ნაწარმოები, ეჭვი არ არის, საპატიო ადგილს დაიჭერს, ვინაიდან თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ღალატს“ სუმბათაშვილისას, რომელიც ჩვენ საუცხოო ნაწარმოებად მიგვაჩნია ჩვენს ლიტერატურაში და იგი მიგვაჩნია ჩვენის ლიტერატურის ნაწარმოებად —ახალ დრამას თითქმის ბადალი არა აქვს ჩვენს ლიტერატურაში. აქვე უნდა აღვიაროთ, რომ ახალი დრამა ბ-ნ ციფიანისა სავსეა თვალსაჩინო ლიტერატურულ ღირსებებით, თუმცა იმასაც ვერ დავფარავთ, რომ მრავალი ნაკლულოვანება აქვს, რაიც შედეგია იმისა, რომ ავტორს არა აქვს კარგად შეთვისებული სასცენო ტეხნიკა. არ გვინდა მკითხველის ყურადღება დავღალოთ დრამის შინაარსის მოთხრობით. დროა ქართველი საზოგადოება მიეჩვიოს ჩვენის ლიტერატურის ნაწარმოების კითხვას და სცენაზედ ნახვას და ყოველთვის არა კისრულობდეს როლს ბალღისას, რომელსაც უნდა გაუმარტო ხოლმე ხელოვნური ნაწარმოები და მისი არაკი მოუყვე. შევუდგებით პირდაპირ ამ დრამის ღირსება-ნაკლულოვანების დაფასებას.

უწინარეს ყოვლისა ეს დრამა განირჩევა ჩვეულებრივ ქართულ ისტორიულ დრამა - ტრაგედიათაგან, იმით, რომ სრულიად სხვა შინაარსისაა. აქ არ არის არც მამულისათვის თავის განწირვა, არც სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის მოწამეობრიობა. თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, იგი ეხება ჩვენ ისტორიულ ჩვეულებრივ ყოფა-ცხოვრებას და ღრმა სინამდვილის ნიადაგზედა სდგას. იგი მოკლებულია, ყოველგვარ ასე რომ ვთქვათ „პატრიოტულ“ იდეალიზაციას და ისტორიულ დაკვირებაზედაა აგებული. თუ გინდათ მართალი ვსთქვა, ეს ერთად-ერთი რეალური დრამაა ჩვენის ისტორიიდან. ვიმეორებ „ღალატი“ მე სახეში არა მაქვს და მას სრულიად ცალკე ვაყენებ. ალ. ორბელიანის, ალ. ყაზბეგის ა. ცაგარლის და სხვათა ისტორიული დრამები რომანტიულია ყოვლის მხრით, კილოთი, მანერით, მიმართულებით, აზრით, არაკით, მოქმედ პირთა დახასიათებით. ეს დრამა კი რეალურ ნიადაგს არ შორდება. ყოველ ჩვენ ისტორიულ დრამაში თვით ნასკვი დრამისა, თვით არაკი სიყვარულისა როგორღაც ზედ-ნადების როლსა თამაშობს, პირველ რიგზედა სდგას მამულისთვის თავ-განწირვა, გმირთა იდეალიზაცია, რომელნიც ყოველსავე სიამეს ამ ცხოვრებისას ძალიან ადვილად შესწირავენ ხოლმე თავიანთ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ იდეალებს. ამიტომაც ბრძოლა სპარსელებთან და სხვა მტრებთან მთავარი საგანია ასეთის დრამისა. აქ კი ომი და ბრძოლა ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის მეფეთა და მთავართა შორის თითქმის გაკვრითაა მოხსენებული. აქ მხოლოდ ერთი ამ მეფეთაგანის და მისი სასახლის ამალის პირადი, კერძო ცხოვრების დედა-ძარღვია ნაჩვენები, ამ კერძო ცხოვრების ავლა-დიდებაა სიგძე-სიგანით აზომილი, ამ ცხოვრების სული და გულია აწონილი და აი ამ მხრით დიდად საყურადღებოა სამი მთავარი პირი დრამისა: ლევან—სამეგრელოს მთავარი, დარეჯან — მისი ბიძის გიორგის ცოლი და პაატა წულუკიძე—იმერეთიდან ლტოლვილი თავადი.

ლევანი ჩვეულებრივი ტიპია ჩვენის მთავრებისა, მეფეებისა და ბატონიშვილებისა: მეტის-მეტ მგრძნობიერებით აღსავსე ძლიერ რთული პირადობა გრძნობით, მახვილისა და მშვენიერის გონებისა, მაგრამ სუსტის ხასიათისა, მოკლებული განმტკიცების სიმტკიცეს—ესენი ნიადაგ სათამაშო იარაღნი იყვნენ ისეთის გაქნილის კარის-კაცების ხელში, როგორც ოტია იყო და თვის გრძნობიერების ჯადოებისა, როგორიც დარეჯანია. ლევანს ერთის სიტყვის მეტი არა სჭირდება, რომ თავის სიმშვიდითა და სიწყნარით აღსავსე, ანგელოზის დარი დედოფალი მოიძულოს და გასაუპატიურებლად გაიმეტოს. დარეჯანის ორიოდე შეხედვა საკმაოა, რომ ლევანი გაიტაცოს და ჩაადენინოს ღალატი თავის ერთგულ და თავგანწირულ ბიძის წინააღმდეგ, რომელმაც იგი შვილივით აღზარდა ხოლო რაკი ასეთის ღალატის მორევში შესცურავს, არავითარი საშუალება აღარა აქვს უკან დაიხიოს, ვიდრე მთლად არ ჩასძირავს ამავე მორევში. წუთიერი გატაცებაა საქირო, რომ მოხუცი ბიძა გამოასალმოს წუთი სოფელს, თითქმის ერთის კრინტის დაძვრასაც ველარ ახერხებს, როცა დარეჯანი მოუწამლავს მის თვალ წინ ერთად-ერთ მემკვიდრე ძეს. საკმარისია მხნედ შეუყვიროს დამ, რომ მოღალატე სიძე სასჯელს გადაარჩინოს, ხოლო სრულიად კანონიერი მუდარა დისა —არ გაათხოვოს, როცა ქმარი ცოცხალი ჰყავს, რომ ეს მისის რწმენის წინააღმდეგია, ამ სრულიად სამართლიან მოთხოვნილებას დისას იგი პასუხს უგებს მისი ქმრის მხეცურის სასჯელით. მისი სილაჩრე ხასიათსა მის დესპოტიურ სისასტიკეს უდრის. ყველაფერი აღასრულა, რათა თავის სატრფო დარეჯანთან დამტკბარიყო, მაგრამ ამას ველარ ახერხებს, და ნერვები ისე აეშლება, რომ სიგიჟის კარამდის მიდის, და ნაყოფი ამ სიგიჟემდის მისვლის ხასიათის სიმჩატისა ის არის, რომ დარეჯანსაც კი თავის ხელით დაახრჩობს.

მშვენიერად არის დახატებული დარეჯანიც, ეს სასახლის ქალი, ვნებათა ღელვაში ჩაკლული, გატაცებული თავის სურვილით, თავის გრძნობიერებით ისე, რომ მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი მიიტანოს სიყვარულის საკურთხეველზე. ეს თავისებური „ფედრაა“—ძველის ტრაგედიების გმირი ქალი. სიყვარულის მონად ქცეულს მას არ აშინებს არც ის, რომ ლევანი აღზრდილი და ძმისწული მისი ქმრისა, არაფერს ყურადღებას არ აქცევს ნათესაურს კავშირს და ეს იმის მოქმედებაში თვით უმცირესი და უმნიშვნელო დანაშაულია. გრძნობით გატაცებულს სწყურიან, რომ ლევანი მარტო მას ეკუთვნოდეს, რომ ლევანის ყურადღებას არაფერი არ იპყრობდეს მისი ტრფობის მეტი და აი ამის მოწადინე გააბამს საზიზღარ ქსელს ინტრიგისას, უდანაშაულო დედოფალს გააუბედურებს დააპირებს მოწამვლას ქრმისას და რაკი ეს ჩაეშლება შემთხვევით, მოსწამლავს თვით მთავრის ძეს, რომ ეს ერთად-ერთი ხელჩასაჭიდებელი საგანი გამოაცალოს ხელიდან ლევანს. დარეჯანი ყოველსავე გარეგან ხელის შემშლელ გარემოებას მოიშორებს თავიდან და მარტო ლევანის სუსტი ხასიათი შერჩება ხელში. ლევანი სინანულშია ჩავარდნილი, მას აღარ ასვენებენ ლანდნი და აჩრდილნი მოკლულთა მისი სულის ჰარმონია, სიმშვიდე დარღვეულია. დარეჯანს გატაცებულსა და თავდავიწყებულის მიჯნურის მაგიერ, ხელში შერჩება დაავადმყოფებული, სულით დაცემული ადამიანი. რამდენადაც ლევანი სუსტია, იმდენად დარეჯანი მტკიცე და შეურყეველ ხასიათისაა. მისი სინიდისი მეტად უკმეხი და უტიფარი რამ გახლავთ. ეს ისეთი ძლიერის ნების ადამიანია, რომელსაც რწმენად აქვს აღიარებული, რომ მისი ნების აღსრულებისათვის ყოველივე შესაძლებელია, მისთვის არ არსებობს არც გულჩვილობა და სიბრალული, არც ბოროტ-მოქმედება და ცუდი. მისთვის ყოველივე კარგია, თუ კი მიზანს მიაღწევინებს — მოწამვლა იქმნება ქრმისა, თუ უსუსურ ბავშვისა, ცილისწამება, უდანაშაულო დედოფლისა, თუ მოკვლევინება მოხუცის ქმრისა. ეს ტრაგედიული ტიპია, უცნაურის თვისებისა და თავზადამცემი სინიდისისა. ყოველივე მოქმედება დარეჯანისა ვნებით იწყება, მაგრამ ლოღიკურ მსვლელობას ერთი წუთითაც არ ანებებს თავს. ყოველი მისი მოქმედება, ყოფა-ქცევა წინ დახედულია, აწონ-დაწონლი და სასტიკის ლოღიკით შეიარაღებული.

რაკი დარეჯანი თავისს მიზანს ვერ აღწევს და სატრფოს, მამაცის, ვაჟკაცის, გრძნობით თავდავიწყე-

განხილვა დაამთავრა. 7 დეკემბერს საბჭო შეუდგება ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

**შემწეობის აღმოჩენა.** ქალაქის გამგეობამ 1 დეკემბერს განიხილა შუამდგომლობა სკოლის გარეშე განათლების საზოგადოებისა შემწეობის შესახებ. გამგეობამ დაადგინა, მიეცეს აღნიშნულ საზოგადოებას 1000 მან.

**შენობა ქალაქის ლომბარდისათვის.** ტფ. ქალაქის გამგეობა კარგა ხანია დაეძებს სადგომს ქალაქის ლომბარდისთვის. გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა წინადადებანი სხვა-და-სხვა პირთა, რომელნიც გამგეობას უთმობენ სადგომს ლომბარდისთვის. რადგან ქირაზე ბევრი იხარჯება (4000 მანეთამდე), გამგეობამ დაადგინა, შეუდგეს ზრუნვას ლომბარდისთვის საკუთარ შენობის ასაგებად. ამ აზრით გამგეობა დაათვალიერებს ამ დღეებში ალექსანდრეს ქუჩაზე ხუდადოვის სახლს.

1—2 დეკემბერს ტფ. სხვა და სხვა უბანში შემდეგი ამბები მოხდა: პოლიციის მე-5 ნაწილში დააპატიმრეს ლევან გაბრიელოვი, რომელსაც თაუზის ქუჩის შესახვევში არშაკ ბაღდასაროვზე თავ დასხმა და 240 მან. წართმევა ჰბრალდება. დააპატიმრეს გუნიბის ქუჩაზე მიმავალი ნახიჩევნელი მიკირტიჩ გასპაროვი, რომელსაც ჰბრალდება 1908 წელს 2 აპრილს პოლიციელის ეჰელიან პეტროვის მოკვლაში მონაწილეობის მიღება. „ტრაპეზუნდის“ ყავ ხანაში უეცრად გადაიცვალა საგარეჯოს მცხოვრები ალექსი თოფლიაშვილი (57 წლისა). გადაცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს, ამიერ კავკასიის ქალთა ინსტიტუტში მოწავლეებთან მეცადინეობის დროს 1 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 სათზე, გარდაიცვალა მუსიკის მასწავლებელი ქალი ანნა შიდლოვსკისა (59 წ.) შიდლოვსკის თავში სისხლი ავარდნია.

ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის მოხელეებს, შეუდგნენ ძებნას ამ დღეებში დაკარგულ ყმაწვილ დუშეთის მაზრის მცხოვრების ლადიკო კოლხიდელისას (16 წლ.) კოლხიდელი ტფილისში თავის ძმასთან ჩამოსულ, ძმა ვერ უნახავს და დაკარგულა.

## ქუთაისის ამ-ბარში

ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის პატივსაცემად დანიშნული წარმოდგენა 3 დეკემბერს დიდს უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოებაში, განსაკუთრებით ნოქრებში, რომელთაც პროტესტიც-კი განაცხადეს გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე. მათის აზრით ეს წარმოდგენა უნდა დანიშნულიყო უქმე დღეს, რომ საქმის შეცულ ხალხს შეძლება მისცემოდათ წარმოდგენას დასწრებოდნენ. გარდა ამისა, ნოქრები ითხოვდნენ წარმოდგენის გადადებას იმ მოსაზრებითაც, რომ დრო მისცემოდათ მოსამზადებლად. თუ პირველი მოსაზრება პატივსადები, მეორე შესაწყნარებელი არ არის, რადგან მოსამზადებლად დრო საკმაო იყო ყველასთვის და თუ ვინმე ვერ მოემზადა ჩვეულებრივის ქართველ[ის] დაუდევრობით, თავის თავს დააბრალოს და არა დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, რომელმაც დანიშნა წარმოდგენის დღე. ხუთშაბათის არჩევაც-კი სადღესასწაულო დღედ დრ. საზ. გამგეობას უნდა ესაყვედუროს რადგან მას კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ეს ბევრისათვის მოუხერხებელი იყო და, გარდა ამისა, თვით წარმოდგენასაც დააკლდებოდა ის ელფერი, რომელიც თან უნდა სდევდეს 30 წლის მოღვაწეობის იუბილეს. ავია თუ კარგია, საქმე ეხლა ველარ შეიცვლება და ამიტომ ყველა უნდა ეცადოს, სადღესასწაულო დღემ კარგად ჩაიაროს.

* *
*

აქ ხმა დადის, რომ გუბერნატორის ყოფნა ამას წინად ტფილისში დეკანოზ ღამბაშიძის საჩივრის გამო არის გამოწვეული. იმასაც ამბობენ, ვითომ გუბერნატორი უარსა ჰყოფდეს, რომ მან ღამბაშიძე სიტყვიერად შეურაცხჰყო, მხოლოდ ხმა მაღლა ელაპარაკებოდაო. ხმა დადის აგრეთვე, ვითომ გუბერნატორს შეეკრიბოს მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ ღამბაშიძის შორაპნის მაზრაში ყოფნა მავნებელიაო. რა მასალაც უნდა მოკრიბონ, „კრამოლნიკობას“, ხალხის აჯანყებას დეკანოზ ღამბაშიძეს ვერ დაუმტკიცებენ, ვინაიდან არა თუ შორაპანში, მთელს დასავლეთ საქართველოში ყველამ კარგად იცის, რომ იგი მუდამ ზომიერების მქადაგებელი იყო და ამ ნიადაგზე არა ერთხელ გამოუცდია უსიამოვნება.

* *
*

ჩვეულებრივი კრება დასავლეთ საქართველოს ბრწყინვალე წოდებისა, რომელიც დეკემბერში უნდა მომხდარიყო, გადაიდო სხვა დროსათვის. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ უფლება იმ მემამულეთა, რომელთაც დროებით ვალდებული გლეხები ჰყავდათ და ეხლა აღარა ჰყავთ მათის განთავისუფლების გამო, გამოურკვეველია, და სენატის განმარტებას უცდიან თურმე ამ საგნის შესახებ. რამდენად პატივსადებია ეს მიზეზი, ამის გამორკვევას ჩვენ ვერ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ასეთი დახანება თ.-აზნაურობის მოსამსახურე პირთა არჩევისას კარგს არას მოასწავებს, მით უმეტესად, რომ ეხლანდელმა წინამძღოლებმა ანგარიში უნდა მისცენ თავიანთ ამომრჩევლებს იმ ფულისა, რომელიც მათ მიიღეს შენობის დაგირავებიდან და რომელიც უმაღლესად არის მიცემული (8 წლისა).

* *
*

ქუთაისშიაც მოიკიდეს ფეხი ჭეშმარიტმა რუსებმა; ამათი რიცხვი თუმცა დიდი არ არის მაგრამ მაინც მოქმედობენ ზოგი ჩუმად ფარულად, ზოგიც ნიღაბ ახდილად. მათ განსაკუთრებით ნიშანში ჰყავთ ამოღებული ის ქართველი მოხელენი რომელთაც ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ სამსახურის იერარქიაში. ერთ ასეთ უსიამოვნო ქართველად მათ მიაჩნიათ ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორი ბ-ნი მიხეილ საღარაძე აქამდის ფარულად მოქმედებდნენ იმის წინააღმდეგ ხოლო როცა „დანოსებმა“ ვერ გასჭრა თავიანთი გულის ტკივილი თანამოაზრეებს გაუზიარეს ტფილისში „გოლოს კავკაზას“ ფურცლებზე, სადაც რამდენიმე წერილი დაიბეჭდა ბ-ნი საღარაძის წინააღმდეგ, ცილისწამებით სავსე. ეხლა, როგორც ჩვენ შევიტყეთ, ბ-ნ საღარაძეს ნება გამოუთხოვნია თავის მთავრობისაგან სამართალში მისცეს მოხსენებული რედაქცია, გინდ მისი თანამშრომელი, თუ მან ნიღაბი აიხადა (თუმცა საეჭვო-კი არის) და კიდევაც შეუტანია სათანადო საჩივარი. **ზვარელი.**

## მოწრილი ამბავი

**ს. საგარეჯო** (ივრის ხეობა). ტფილისის მაზრის მომრიგებელ-შუამავლის თავ. ვახნაძის ინიციატორობით ს. საგარეჯოში არსდება მომხმარებელი საზოგადოება და საკრედიტო ამხანაგობა. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ასეთი დაწესებულებანი დიდ სამსახურს გაუწევს გლეხ-კაცობას. ვინ არ იცის, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა სრულიად იყვლიფება ვაჭრებისაგან. გლეხის ნაწარმოებს ჩალის ფასად უიღებენ, სამაგიეროდ თავიანთ საქონელს მამასისხლად აფასებენ. კიდევ კარგი, რომ მიწოდებული საქონელი კარგი ხარისხისა იყოს.

არა ნაკლებად იყვლიფება გლეხ-კაცი მევახშეთაგან, რომელნიც დიდი ხვეწნის შემდეგ სესხად აძლევენ გლეხს თუმანს წლიურად სამი მანეთის სარგებლით. გლეხ კაცის გაჭირვება უსაზღვროა და თუ თითონ არ იზრუნა თავის-თავზე და ჩარჩ-მევახშეთ თუ თავი არ დააღწია, ასე სამუდამოდ იდონდებს, არც მკვდარი და არც ცოცხალი.

ხსნის ერთ საშუალებად ღღევანდელ პირობებში უნდა ჩაითვალოს წვრილი კრედიტის მოწყობა, მომხმარებელ-მწარმოებელი დაწესებულება და სხვ. თავ. ვახნაძე ასეთ ამხანაგობათა დაარსებაზე მოელაპარაკა გლეხებს. გარეჯელი და გიორგიწმინდელი გლეხები სიხარულით მიეგებნენ თავ. ვახნაძის სურვილს. ბევრი გლეხი ჩაეწერა, როგორც მომხმარებელ საზოგადოების, ისე საკრედიტო ამხანაგობის წევრად. წესდების თანახმად თითო წევრი მომხმარებელ საზოგადოებისა იხდის შესათვის 12 მანეთს, საკრედიტო ამხანაგობისა კი 25 მანეთს. აქვე არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ აქაურ ვაჭრებს არ ესიამოვნათ თავ. ვახნაძის მიერ ამ სიმპატიურ საქმის დაწყება და მოჰყვნენ აგიტაციას მომხმარებელ საზოგადოებისა და საკრედიტო ამხანაგობის წინააღმდეგ. ვაჭარ-ჩარჩები ეუბნებიან გლეხებს: „მომხმარებელი და საკრედიტო ამხანაგობანი ზარალის მეტს არაფერს მოგიტანთ. ვინც სათავეში ედგება საქმეს, ვისაც კასსა ექნება ხელთ, სარგებლობას ისა ნახავსო, თქვენ კი პირში ჩალა-გამოვლებულნი დარჩებითო. ამ დაუდალავ აგიტაციიდან სჩანს, რომ მევახშეებს გაუტკბათ სხვისი შრომით გამდიდრება და კვლავ სურთ ყვლეფა გლეხებისა.

სად. სართიჭალიდან მისდევს ვითომდა. სამეფო გზა ს. საგარეჯომდის. საგარეჯოდან ამ გზით ყოველ დღე დილიჟანებით მოგზაურობენ ხოლმე ტფილისისაკენ. უნდა ვთქვა, რომ მოგზაურობა ამ გზით სად. სართიჭალამდის ტანჯვა-წვალებაა და სხვა არაფერი. უსწორ-მასწორო და მოუკვლევავი გზები. თუ ავი დარია. დიდი ტალახი დგება, ასე რომ დილიჟნის თვალი შუამდის ჩადის ხოლმე ტალახში. საჭიროა, ამ გზას ყურადღება მიექცეს.

ივრის ხეობაში შედის ტფილისის მესამე საბლაღოჩინო ოლქი, რომელიც შეიცავს თხუთმეტ სამრევლოს. უნდა ვსთქვა, რომ აქაური მამანი ძალიან ცოტას ფიქრობენ გონებრივ საზრდოზე. თხუთმეტ მღვდელში მხოლოდ ორი იწერს ქართულ გაზეთს. მაგრამ დვინო არა სჭობიან გაზეთ! ზოგიერთ მოძღვარს რომ მიაწოდოთ გაზეთი, გეტყვით, რა საჭიროა ჩემთვის გაზეთი, მე უგაზეთოდაც კარგად ვიცი, რასაც სწერენ თანამშრომელნი. ხშირად გლეხები მიმართავენ ხოლმე მღვდლებს, რა ახალი ამბავი იცით მამაო, რა ხდება ქვეყნიერობაზე, ომისა ხომ არა ისმისრაო და სხვა. რასაკვირველია თუ მღვდელი თითონაც არა კითხულობს გაზეთს, აბა რას ეტყვის გლეხს. ზოგი იმასაც ამბობს, გაზეთებში სულ ტყუილები იწერება, არა ღირს კითხვაო.

გიორგიწმინდელი გლეხები სცდილობენ იყიდონ თავ. მაყაშვილის სახნავი და ტყიანი ადგილები. თავ. მაყაშვილთან მოსალაპარაკებლად საზოგადოებამ უკვე აირჩია რწმუნებულნი: ვანო ბურჯანაძე და დავით შაიბეკაშვილი. გიორგიწმინდელები ყიდულობენ სულ 540 დესეტინას. თითო დესეტინაში აძლევენ 45 მანეთს. აზრადა აქვთ იყიდონ ეს ადგილი საგლეხო ბანკის დახმარებით.

საგარეჯოს ორკლასიან სკოლის მასწავლებლებად დაინიშნენ შემდეგი პირნი: ვანო გარსიაშვილი და წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლის მასწავლებლად ნამეოფი გ. ბოჭორიძე. ორივე მასწავლებელს ტფილისის სასულიერო სემინარიაში აქვთ სწავლა მიღებული.

საგარაჯოს მოხელეთა სადგურის დარაჯმა, რომელიც გაგზავნილი იყო ს. მარიამჯვარში სახელმწიფო გადასახადების ასაკრეფად, შემდეგი საქმე ჩაიდინა: დასჭრა მარიამჯვრელი გლეხი ჯანგარაშვილი. როგორც გლეხები ამბობენ, საქმე ასე ყოფილა: ს. ანთოკის ნაცვალთან არაყით შეზარხოშებული დარაჯი. დამის თორმეტ საათზე მოუსურვებია წასვლა ს. მარიამჯვრის ფულის ამკრეფთან. დარაჯის ყვირილზე ძმა ჯანგარაშვილი გამოსულა და დარაჯი მიუწვევია სახლში. დარაჯს უთქვამს ჯანგარაშვილისთვის: „შენი რძალი ამაღამ ჩემთან უნდა დაწვესო.“ ჯანგარაშვილს უარი უთქვამს, ამ ლაპარაკის შემდეგ დარაჯს თოფი დაუცლია ჯანგარაშვილისთვის და გაქცეულა ს. საგარეჯოს. დარაჯი დააპატიმრეს და გამოძიება სწარმოებს.

21 ნოემბერს ს. აღბულახის მახლობლად ყაჩაღებმა გაცარცვეს ტფილისიდან საგარეჯოს დილიჟნით მიმავალი მგზავრები. [illegible] ნივთები. [illegible] ფეხში [illegible] მოადგილე ს. გულისაშვილი. **ლ. კ.**

## სასამართლო

### გაცარცვა.

2 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფ. მცხოვრების ტატო ბაჭიაშვილისა და გორის მაზრის სოფ. რუისის მცხოვრების ნიკო გასიტაშვილისა, რომელთაც დუკმიაშვილის გაცარცვა ჰბრალდებოდათ.

1909 სელს 3 მაისს ივანე დუკმიაშვილს ძველი მიუყიდნია სედრაკ ბაჭიაშვილისთვის, და რადგან სედრაკს იმ დროს ფული არა ჰქონია, 21 მანეთი მასზე დარჩენილა. გასულა რამდენიმე დღე. დუკმიაშვილს ფული მოუთხოვნია ბაჭიაშვილისთვის, რომელსაც გადაუცია მხოლოდ 19 მანეთი, ხოლო დანარჩენი ორი მანეთის პატიება უთხოვნია, რაზედაც დუკმიაშვილიც დასთანხმებია. ამის შემდეგ ს. ბაჭიაშვილი და დუკმიაშვილი დაუპატიჟებია დუქანში, თუმცა არა სდომებია გაყოლა, მაგრამ თითქმის ძალად წაუყვანია. დუქანში ღვინო მოუთხოვია და ვინც შესულა დუქანში, ყველა მიუპატიჟებია და დაუწყვიათ სმა. დუკმიაშვილს ასეთი წვეულება საეჭვოდ მიუჩნევია და რამდენჯერმე დაუპირებია წასვლა, მაგრამ მასპინძელს არ გაუშვია. როდესაც დამთვრალა, დუკმიაშვილი გამოსულა დუქნიდან და სახლისაკენ წასულა. გასაცილებლად თან გაჰყოლიან თანამოქეიფენი ტატო ბაჭიაშვილი, ნიკო გასიტაშვილი და ერთიც სხვა. გზაზე ერთ გამცილებელს ხელჩაბი დაუჭერია დუკმიაშვილისათვის, მეორეს ყელში წაუჭერია, მესამეს კი ჯიბე მოუჭრია და მიმალულან. დუკმიაშვილს ყვირილი მოურთავს, მაგრამ არავინ მიშველებია და მერე თვითონ გამოუცხადებია პოლიციაში, რის შემდეგაც დაუტუსაღებიათ ტატო ბაჭიაშვილი და ნიკო გასიტაშვილი, ხოლო მესამე ველარ აღმოუჩენიათ.

პასუხის გებაში მიცემული ტ. ბაჭიაშვილი გამომძიებელთან გამოტყდარა და უთქვამს, 19 მანეთი დუქანშივე ამოვაცალე და მაშინვე მოვშორდიო. გასიტაშვილს კი განუცხადებია, ამ საქმეში არაფერი მონაწილეობა არ მიმიღია და არც არაფერი ვიციო. სასამართლოში ასევე გაიმეორეს.

ბრალდებულთ იცავდა ნაფიცი ვექილი სპასსკი.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებული ტატო ბაჭიაშვილი ქურდობაში და მიუსაჯა სამი თვით ციხეში დაპატიმრება, ხოლო ნიკო გასიტაშვილი გაამართლა.

---

ბულის, სასურველ ლევანის მაგიერ დამბალი ჩვარი შერჩება ხელში, წარბ-შეუხრელად წინ გადმოუშლის ლევანს მთელს თავის ბოროტ-მოქმედებას და სცდილობს ლევანი ისევ წინანდელ ცხოვრებას დაუბრუნოს. არ იფიქროთ ან სინიდისის ქენჯნას შეეწუხებინოს იგი, ან სინანულს. არა ამგვარი გრძნობები მისთვის უცხო და შეუფერებელი რამ არისო.

„რაცა ვსთქვი,—ამბობს იგი:—საბოდიშოდ არ მითქვამს! ჩემ საქციელს შენდობა არა აქვს. (აღელდება). არც მინდა იგი: დღე, კიდითკიდემდე, ცის სივრცეში, დაბლა ქვესკნელში, თვით ამ ჩემ შერყვნილ გონებაში ისმოდეს განუწყვეტლივ საშინელი შეჩვენება; ხმა იგი ეფინება ჩემ დატანჯულ გულს, ვით ნელსაცხებელი. მე არ ვერიდები არც წყრომას ღმრთისას, არც მსჯავრსა ადამიანისას და მზადა ვარ პასუხი გავცე მათ: **მე მიყვარდა და სიყვარულს შევწირე სააქაოც და საიქიოც**“ (ხაზი ჩვენია).

დიაღ, დარეჯანისთანა ადამიანს სინანული სამარცხვინოდაც მიაჩნია. ანგარიში შესცდა, მთელმა ლვაწლმა ამაოდ ჩაუარა და გამწარებული გაბრაზებული თავის შეცდომის გამო, იგი ყველაფერს წამოისროლებს, მაგრამ ქედს როდი მოიხრის. არც თვალზე ცრემლით მუხლს მოიყრის ვინ იცის, იმის უკანასკნელ ცდას რომ გაემარჯვა და ლევანისთვის „მშვიდობა“ დაებრუნებინა, იქნებ მერე სხვა გზა ამოერჩია ლევანის ხელში ჩასაგდებად.

ეს ტიპი უნდა ჩაითვალოს ავტორის დრამის საუკეთესო ღირსებად, რადგან იგი მეტად ძლიერად და კარგად არის დასურათებული და თვით მეტად რთული და საყურადღებო ხასიათია. ტრაგიზმი ასეთი ადამიანისა სწორედ იმაშია, რომ მან არ იცის ხასიათის ადვილად შეცვლა, სინანული, სინიდისის ქენჯნა. ყველა ეს მომასწავებელია იმისა, რომ ესა თუ ის ადამიანი ხასიათს იცვლის გარემოების მიხედვით, მის ფსიხიკაში ხდება პროცესსი ახალ პირობათა შეთვისებისა. შესაძლოა ამის ბრალიც იყოს ის სულიერი ტანჯვა, რომელსაც ვეძახით სინიდისის ქენჯნა. დარეჯანისთანა ადამიანებს კი არა სჩვევიათ, შეეთვისონ რაიმე გარემოებას, მათ სურთ ყოველივე გარემოება, ყოველივე პირობა თვით შეითვისონ, თავიანთის აზრის მისაღწევად გამოიყენონ და თუ ამას ვერ მოახერხებენ, თავს მოიკლენ, ან ქვეყანას განუდგებიან და კბილის ღრჭენით მოიხსენებენ თავიანთ წინდაუხედველობას.

კარგად არის დასურათებული ტიპი ინტრიგანის კარის კაცისა. ოტია ჰხედავს, რომ დარეჯანი აპირებს მთავრის ხელში ჩაგდებას, ყნოსვითა ჰგრძნობს, რომ დარეჯანი ისეთი ადამიანია, რომელიც მასაც მოისურვებს, ასრულებს კიდეც და თავის საწადელის მიღწევისთვის არას დაზოგავს. და, აი, იგიც თვით სცდილობს დარეჯანს წინ წაუსწროს, ერთის მხრით, გაუწიოს სამსახური ამ ახალ ძალას, რათა მისი გული მოიგოს, და, მეორეს მხრით, თვით გააბას ინტრიგის ქსელში მთავარიც და მისი მოტრფიალეც, რომ იგი აუცილებელ პირად შეიქმნას სასახლეში: კაცს თითქო ჰგონია, რომ ოტია ინტრიგს ეწევა უმიზნოდ, ინტრიგის სიყვარულისათვის. არა. მან მშვენიერად იცის მექანიზმი სასახლის ცხოვრებისა, მან ძალიან კარგად იცის, რომ უფალი ის არის აქ, ვისაც მეტი ნასკვი უჭირავს სასახლეში დაბუდებულ ინტრიგისა და საიდუმლოებისა და ამიტომაც თუ დარეჯანს უჭირავს ერთი ნასკვი იმ ინტრიგისა, რომელიც გააბა ლევანის ხელში ჩასაგდებად, მეორე ნასკვი ოტიას უჭირავს და ამგვარად იგი ხდება ისეთ კაცად, რომლის თავიდან მოშორება შეუძლებელია.

გარეშე ამ სამის ტიპისა, გინდ ხასიათისა ყველანი მეტად სუსტნი არიან: სუსტია დედოფალი, სუსტია მარიმ, და მთავრისა, და ყველანი მანეკენებს უფრო ჰგვანან. დრამას აქვს მრავალი ტეხნიკური ნაკლულევანება, რომელთა შესწორება შეუძლიან გონიერსა და გამოცდილს რეჟისსორსა. ავტორს ნახმარი აქვს მრავალი მელოდრამატიული ეფექტი, რომელნიც შთაბეჭდილებას ახდენენ. დრამა უიმისოდაც დიდის ტრაგიზმით არის აღსავსე და სრულიად უადგილოა, ისეთი მოუთმენელი სცენა, როგორიც არის უკანასკნელი საყდარი, მკვდრის წესის აგება იმის სცენაზედ, რაიცა თითქმის სიცილს იწვევს. დედოფალი თმა გაშლილი, შვილის მტირალი, რასაც ქნ. ანდრონიკაშვილისა იმდენად რეალურად ადგენდა, რომ მართალია თითქმის მთელი თეატრი ტიროდა, მაგრამ ყოველ ადამიანში იწვევდა ანტიესტეტიურ გრძნობებს და პირდაპირ მათრახით სცემდა ნერვებს. მელოდრამატიული ეფექტია გიორგისგან დარეჯანის წერილის ხელში ჩაგდება, რომლის გამო საშინელს ქვის სცენას გაუკეთებს ცოლს და თურმე წერილი არც კი წაუკითხავს. მელოდრამატიულია დარეჯანისაგან გიორგისთვის წერილის გაგზავნა, რომლითაც ვიღაც იბარებს საყდართან, ეს კი მისთვის მოგონილია, რომ ლევანთან მარტო დარჩეს, ხოლო ამას არჩილი გაიგებს და თვით დახვდება საყდართან გიორგის, ყოველივეს შეატყობინებს და გიორგი თავზედ წაადგება დარეჯანისა და ლევანის ალერსს, და სხვა, რომელთა აღნუსხვას ჩვენ არ შეუდგებით.

არ ვიცით ურჩიოთ ავტორს მათი შესწორება, თუ არა. ჩვენის აზრით ხელოვნური ნაწარმოები შალის ნაჭერი არ არის, და ხელოვანი თერძი, რომ ტანისამოსის შემკვეთელმა, როგორიც უნდა, ისეთი ტანისამოსი გამოაჭრევინოს. ხელოვანი შექმნის ნაწარმოებს სხვა და სხვა პსიხიურ და სოციალურ ზედ-გავლენის ქვეშ, რომლის დროსაც მნიშვნელობა აქვს თვით მომენტს შექმნისას. შესაძლოა შემოქმედების მომენტში ავტორში ხდებოდეს ისეთი პროცესსი სხვა და სხვა ზე-გავლენათა ურთიერთობისა, რომ იგი აღარ განმეორდეს. ამიტომ ძნელია ნაწარმოების არსებითის მხარეების შეცვლა, თუ ეს თვით ავტორის სულის მოთხოვნილების შედეგი არ იქმნება.

ბ-ნ ყიფიანის დრამა ერთ-ერთი საფეხურია ჩვენის დრამატიულის მწერლობის ევოლიუციისა. განვითარებაში როგორც მოგახსენეთ, ჩვენი დრამატიული ხელოვნება (ისტორიულის სიუჟეტებისა) დღევანდლამდის რომანტიულ-მელოდრამას ვერ გასცილებია. ბ-ნმა ყიფიანმა კი მასში შეიტანა ძლიერი რეალური ელემენტები, რომელნიც თანდათან განვითარდებიან, უეჭველია. შეუძლებელი იყო პირველ რეალურ დრამას (ისტორიულის არაკით) პირველადვე მოეშორებინა თავიდან მელოდრამატიული ელემენტები, ეს ელემენტები კიდევაც მოსწონს ჩვენის საზოგადოების უმეტეს ნაწილს, რისი მიზეზიც ისევე ჩვენი დრამებია, რომლებმაც ასე გაზარდეს საზოგადოების გემო. მაგრამ ბ-ნ ყიფიანს შეუძლიან შეასუსტოს ეს მელოდრამატიული ელემენტები და ამისთვის ყველაზე პირველად კათეგორიულად უნდა მოითხოვოს რეჟისორისაგან, რომ უკანასკნელი სცენიდან გამოტოვებულ იქმნას სამგლოვიარო გალობა, წივილ-კივილი და სხვა, ანა და ძალზედ შესუსტებულ იქმნან ეს ელემენტები, რათა უფრო განვითარებულის გემოს საზოგადოების უსიამოვნო შთაბეჭდილება არ მოჰგვაროს.

ყოველს შემთხვევაში, ეჭვი არ არის, ეს დრამა მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ჩვენ დრამატიულ ლიტერატურასა და სასცენო ხელოვნებაში. მისი ღირსებები ჩვენ სავსებით აღვნიშნეთ. ამას დაუმატეთ ჩინებულ სტილი, ზომიერად აფერადებული და ზომიერად სიმამდვილის გამომხატველი, რაიცა სავსებით აკმაყოფილებს დრამატიულის ნაწარმოების მოთხოვნილებას.

ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებას არა დაუშურებია-რა, რომ პიესა დაედგა, რამდენადაც შესაძლოა, ბრწყინვალედ. არტისტები უმეტეს ნაწილად მშვენივრად და ძვირფასად იყვნენ ჩაცმულნი, რაიცა კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. რომ ღონე და საშუალება მისცათ ჩვენ დრამატიულ საზოგადოებებს და ჩვენ ისტორიულ პიესაზე მეტს დახარჯავდნენ, ერთი-ორად მოიგებდნენ ეს პიესები საზოგადოების თვალში. არც რასაკვირველია, სჩანდა ის უსახსრობა, მაგრამ მოგახსენეთ მგონი შეძლებაზე მეტად ცდილა ქუთაისის დრ. საზოგადოება, კარგად მოეწყო პიესა.

უნდა ვთქვათ ერთი მხოლოდ, რომ მთავრის ოთახი მეტად ღარიბულად იყო მოწყობილი. კიდევაც რომ შეესაბამებოდეს ეს სინამდვილეს, ცუდ შთაბეჭდილებას ახდენ მაყურებელზე, არც წარმომიდგენია, რომ მეფეების და მთავრების სახლი ისე ღარიბად ყოფილიყოს მორთული, როგორც ამას ჩვეულებრივად გვაჩვენებენ.

რაიცა შეეხება როლების ასრულებას, ჩვენ აღვნიშნავთ მარტო ორ მთავარ როლის ამსრულებელს. ყოველთვის კეთილსინიდისიერმა ამსრულებელმა თავის როლისა ბ-ნმა გუნიამ კარგადა და შეგნებულად ჩაატარა ლევანის როლი, თუმცა არ ემჩნეოდა ის სინაზე და ის, როგრცა ვსთქვით, სიმბილე ხასიათისა და მოქმედებისა, რომელიც უეჭველი თვისებაა ლევანისა. უფრო კარგი იყო იქ, სადაც სუსტი ხასიათის ლევანი მოთმინებიდან გამოდის. გულ-ახდილად უნდა ვთქვათ გაგვახსენდა ვლ. ალექსი-მესხიშვილი და გვგონია, რომ ამ როლში იგი შეუდარებელი იქმნებოდა.

დარეჯანის როლი გააკეთილშობილა ქ-ნ ჩხეიძისამ. ეს ნიჭიერი არტისტი ქალი მშვენიერი იყო და დაგვიხატა მ ილი ნაზი მხარე გრძნობით გატაცებულ ქალისა, მაგრამ სუსტად გადმოგვცა დარეჯანის შეუდრეკელი, გრძნობით გატაცებული ბუნება, რომელიც ბოროტ მოქმედებას სიამოვნებით ასრულებს, თუ კი მიზანს მიაღწევინებს.

**კოტე აბაშიძე.**

## თეატრი და ხელოვნება

**„პარტიის კაცი?!“** ახალი პიესა პ. გოთუასი „პარტიის კაცი?“, რომელიც დღეს უნდა წარმოედგინათ, გადასდეს შაბათს, 5 დეკემბრისათვის. დღეს წარმოდგენა სულ არ შესდგება.

**ახალი პიესა.** ქართული დრამატიული დასი შეუდგა რეპეტიციებს ს. გლახაშვილის ახალ პიესას „წყურვილი“. პიესა, როგორც გადმოგვცეს, შინაარსიანია.

**ოპერები ქართულად.** უკვე ვწერდით, რომ შესდგა წრე ოპერების დასადგმელად. პირველი ოპერა ქართულად დაიდგმება კვირას, 13 დეკემბერს. წარმოდგენილი იქნება როსსინის ცნობილი ოპერა „სევილიელი დალაქი“. ოპერას რეჟისორობს ჩვენში კარგად ცნობილი მემუსიკე იოსებ რატილი. ოპერაში მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კალანდაძისა, ბაქრაძისა; ბ-ნნი რჩეულიშვილი, აგასოვი, ცხომელიძე, კარგარეთელი და კარაკიშევი.

## უცხოეთი

**დაშინსკის სიტყვა.**

პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მეთაურმა დაშინსკიმ ავსტრიის პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვა და ძლიერ გაჰკიცხა ავსტრიის პოლიტიკის დღევანდელი მიმართულება. დაშინსკიმ განაცხადა, რომ ავსტრიელი პოლიტიკოსები მხოლოდ იმასა სცდილობენ, რომ გერმანელების გული მოიგონ და მათ ფეხის ხმას მისდევენო. ბინერტის პოლიტიკამ მოსპო პარლამენტის საქმიანობაო.

**კრიტეს ამბები.**

უცხოეთის გაზეთების სიტყვით, კრიტეს მცხოვრებთა შორის მღელვარება კვლავ ძლიერდება. კრიტელებმა ჯერ ისევ მარმან გადასწყვიტეს, შეუერთდნენ საბერძნეთს. ეხლა დეპუტატების გაგზავნასაც აპირებენ ათინის პარლამენტში. თუ ოსმალეთმა წინააღმდეგობა აღმოუჩინა კრიტელებს, შეტაკება და სისხლის ღვრა აუცილებელი იქნებაო, დასძენს გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“.

ჩვენ ვიცით ოსმალეთის მთავრობის აზრი, ვიცით, რომ ოსმალეთის მთავრობა არ შეურიგდება კრიტელების მიერ დეპუტატების გაგზავნას ათინის პარლამენტში. მოსალოდნელია სისხლის ღვრა, თუ სახელმწიფოები არ ჩაერევიან საქმეში.

**კუნძული ფორმოზა იაპონელების ხელში.**

ერთ ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდილია მისიონერ ფერგიუსონის წერილი კუნძულ ფორმოზას შესახებ. კუნძული დასახლებულია ადგილობრივ მკვიდრ ჩინელებით და იაპონელებით. 1908 წლის ბოლოს სამი მილიონი მცხოვრები იყო, აქედან 78,000 იაპონელი. კუნძული ძალზე გამოცვლილია, რაც იაპონელების სრულს გამგებლობის ხელში გადასულა. იაპონიის მთავრობას რკინის გზები გაუყვანია მრავალ ადგილას. ჩრდილოეთი ნაწილი კუნძულისა რკინის გზით შეუერთებია სამხრეთი ნაწილისათვის. თუ აქამდე ორი კვირა იყო საჭირო კუნძულის ერთი თავიდან მეორე თავამდე ჩასასვლელად—ეხლა ერთი დღეა საკმარისი. სოფლები ერთმანეთს გადააბეს განიერი გზატკეცილებით. ყველგან მოაწყეს ტელეგრაფი და ტელეფონი. ფოსტა ხომ ყველა სოფელში მიდის. იმგვარი ისეთი სოფელი, სადაც დღეში ერთხელ მაინც არ მიდიოდეს ფოსტა. მისიონერს დაუთვალიერებია კუნძულის სატუსაღოები და შეუმჩნევია, რომ მეტად სუფთად ინახავენ სატუსაღოებს. ზომები სასტიკია, ტუსაღები აუცილებლად რამე ხელობას მისდევენ. გაჩშირებულია აგურის ამოღება, დგამის—სახლის პოწყობილებათა კეთება, პანამის ქუდების ქსოვა, ტანისამოსის დამზადება და სხვა ამისთანა. მისიონერი განცვიფრებულია, რომ ასე მოკლე ხანში იაპონიის მთავრობამ მოაწყო კუნძული და კულტურული ელფერი მისცა.

**თავის მკვლელთა სტატისტიკა.**

უცხოეთის გაზეთებში დაბეჭდილია თავის მოკვლათა სტატისტიკა. გერმანიაში ამ ორმოც-და-ათი წლის განმავლობაში სულ 380,000 თავის მოკვლის შემთხვევა ყოფილა. უფრო მეტი შემთხვევა 1907 წელში ყოფილა. ამ წლის განმავლობაში 9,753 კაცს მოუკლავს თავი და 3,024 ქალს. საშუალოდ გერმანიაში ყოველ 100,000 მცხოვრებზე 202 თავის მოკვლა მოდის. ამ მხრივ გერმანიას მესამე ადგილი უჭირავს. საფრანგეთში 23,8, დანიაში 22 კაცი, ინგლისში და სხვა სახელმწიფოებში ამაზე ნაკლებია. უფრო ცოტა ნორვეგიაშია—5,5 შემთხვევა 100,000 მცხოვრებზე, იაპონიაში 17,9 თავის მოკვლა.

**ესპანიის ამბები.**

ყველას ეხსომება ფერერის დასჯა. მაურას სამინისტროს სასტიკი ზომები—სამხედრო სასამართლოები და ჯალათები. ესპანიის ხალხი თუმც სასტიკ დუხჭირში იყო, მაგრამ მაინც პასუხი გასცა უდანაშაულო მსხვერპლთა დასჯას და მაურას სამინისტრო ჩამოაგდო. მის ნაცვლად შესდგა მორეტის სამინისტრო. ყველას ეგონა მთავრობა ჰკუას ისწავლისო, ძალმომრეობას თავს დაანებებსო, მაგრამ მორეტის სამინისტროც ვერ ასცდა წინა მოადგილეთა პოლიტიკას. სამხედრო სასამართლოები კვლავ მოქმედებენ. დაპატიმრება კვლავ სწარმოებს. ბარცელონის საპატიმროში 500 პოლიტიკური ტუსაღია მოთავსებული. ბეჭდვითი სიტყვა ისევ აღკვეთილია. აკრძალულია ფერერის პროცესის შესახებ დასწერონ რამე. რევოლუციონურ მოძრაობის დროს ბევრი საერო სკოლა დახურეს. მთავრობას სურდა ხელახლა გაეღო ეს სკოლები, მაგრამ კლერიკალები დიდის წინააღმდეგობით შეხვდნენ მთავრობის სურვილს. სასულიერო მთავრობამ განაცხადება გაუგზავნა მინისტრ-პრეზიდენტს და აცნობა, რომ ყველა სკოლები სამღვდელოების გავლენის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენო. ლიბერალური გაზეთები თხოულობენ დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიოს და სწავლება ხალხის სურვილის თანახმად იყოსო, მაგრამ ლიბერალურ პრესის ხმა დღევანდელ ესპანიაში სუსტია. ცოტა მეტი სიცოცხლე დაეტყო ცხოვრებას, რაც მუნიციპალური არჩევნები მოახლოვდა. რესპუბლიკანელები და სოციალისტები შეერთდნენ, ლიბერალები ცალკე გამოდიან და ებრძვიან მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს.

**ეროვნული მოძრაობა ალბანიაში.**

ალბანიაში ეროვნული მოძრაობა თან და თან ძლიერდება. მონაწილეობას იღებენ ოსმალეთის მოხელენი. თუმცა მთავრობა სასტიკ ზომებსა ხმარობს, მაგრამ ალბანელთა კლუბები კვლავ განაგრძობენ მოქმედებას. ალბანიაში გაიხსნა ნორმალური სასწავლებელი, სადაც სწავლება ალბანურ ენაზე სწარმოებს. სტარაია სერბიაში—გილიანსა, მიტროვიცაში, იპეკში და დიაკოვშიაც სახალხო სკოლები დაარსეს და სწავლება იქაც ალბანურ ენაზე მოაწყეს. ალბანელ ნაციონალისტების პროპაგანდა ძლიერია. მისი გავლენა ჩრდილოეთ ალბანიაზე გადადის. აქამდე ჩრდილოეთ ალბანია ეროვნულ მოძრაობის გარეშე იდგა. ეხლა კი იქაც შესამჩნევია ეს მოძრაობა.

**ხმები რუსეთ-იაპონიის შეთანხმების შესახებ.**

გაზეთ „ტაიმში“ დაბეჭდილი იყო ცნობა, თითომ ახლო მომავალში მოსალოდნელია რუსეთ-იაპონიის შეთანხმება. ამ ცნობამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ავსტრო-უნგრეთის პოლიტიკურ წრეებში. ავსტრიაც და გერმანიაც სცდილობენ რუსეთი და იაპონია კარგ განწყობილებაში არ იყვნენ. მორეულ აღმოსავლეთის ამბებში უნდათ ჩააბან რუსეთი, სამაგიეროდ უნდა დაათრონ მახლობელ აღმოსავლეთის საქმეებს. იაპონიის ელჩს უნახავს გერმანიის კანცლერი დიდხანს ულაპარაკნია, შემდეგ წარდგომია იმპერატორს. ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას აწერენ. უცხოეთის გაზეთების სიტყვით, პოლიტიკურ წრეებში დიდ ყურადღებას აქცევენ იაპონია-გერმანიის მოლაპარაკებას. კარგა ხანია დამოკიდებულება აქვს იაპონიას გერმანიასთან და დარწმუნებულნი არიან მეგობრობა უფრო განმტკიცება წინააღმდეგ რუსეთის ინტერესებისა.

**ფინანსიური რეფორმა სპარსეთში**

ამას წინად ვწერდით, რომ სპარსეთის მეჯლისმა გადასწყვიტა საფინანსო რეფორმა მოახდინოს და ამისათვის მოიწვიოს საზღვარ-გარეთიდან გამოცდილი ფინანსისტები. მუდამ აქ დიდი დაბრკოლება აღმოუჩნდათ სპარსელებს. ინგლისისა და რუსეთის ელჩები თხოულობენ რეფორმების მოსახდენად ფრანგი ფინანსისტი მოიწვიონ, ხოლო თვით სპარსელებს უნდათ, ევროპის რომელიმე პატარა სახელმწიფოდან გამოიწვიოს ასეთი პირები. გაზეთების სიტყვით საქმე იქამდის მივიდა, რომ სპარსელები უთუოდ დათმობის გზას დაადგებიანო და ინგლისისა და რუსეთის ელჩების წინადადებას დასთანხმდებიანო.

## რუსეთი

**◆ სარატოვის უნივერსიტეტის გახსნა.** კვირას, 6 დეკემბერს, დიდის ამბით აკურთხებენ და გახსნიან სარატოვის უნივერსიტეტს. ამ დღესასწაულზე დასასწრებლად მოწვეულნი არიან რუსეთის ყველა და საზღვარ-გარეთის ზოგიერთ უნივერსიტეტის წარმომადგენლები. უნივერსიტეტის გახსნას და კურთხევას, სხვათა შორის, დაესწრობიან პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი და საერო განათლების მინისტრი შვარცი.

**◆ პოლონეთი.** როგორც ვიცით მთავრობას განზრახული აქვს პოლონეთში ერობა შემოიღოს. ამის შესახებ კანონ-პროექტი უკვე შედგენილია. მთავრობის კანონ-პროექტი პოლონეთის მომავალ ერობაში პოლონელების უფლებას ზღუდავს და უპირატესობას პოლონეთში მცხოვრებ რუსებს აძლევს. ვარშავის გაზეთების სიტყვით, მინისტრთა საბჭომ ხელმეორედ განიხილავს ეს კანონ-პროექტი და პოლონელების ისედაც შეზღუდული უფლებები უფრო შეუზღუდიათ.

**◆ ოქტომბრისტები და ხოლმი.** გამოირკვა, რომ ოქტომბრისტები ძომხრენი ყოფილან მთავრობის კანონ-პროექტისა, რომლითაც ხოლმი უნდა გამოეყოს პოლონეთს და ცალკე გუბერნიად გადაკეთდეს.

**◆ არა-ჩვეულებრივი გენერალ-გუბერნატორი.** ქალაქ ლომჟაში ამ დღეებში გარდაიცვალა ლომჟის გენერალ-გუბერნატორად ნამყოფი გენერალი ხიტროვო. პოლონურ გაზეთების სიტყვით განსვენებულ გენერალ ხიტროვოს თავის მოქმედებით დიდი ყურადღება მიუქცევია არამც თუ მარტო ლომჟის გუბერნიაში, მთელ პოლონეთშიაც. განსვენებული მოუფიქრებლად არ სარგებლობდა თავის უფლებებით, უკანონოდ არავის სჯიდა და ასე გასინჯეთ, განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს ქუჩებში თავისუფლად დაიარებოდაო, სწერენ გაზეთები. ასეთი ჩვეულებრივი მოვლენა სხვაგან, რუსეთში ალ'ანი შნავია და საკვირველიც კი გახდა!!

**◆ ჭეშმარიტი რუსები.** სარატოველ „ჭეშმარიტ რუსებს“ გადაუწყვეტიათ, თუ ადგილობრივ თეატრში ლ. ანდრეევის პიესა „ანათემა“ წარმოადგინეს, ვიყიდოთ ბლომად მყავე კიტრი, წავიდეთ თეატრში და სცენაზედ მოთამაშებს მყავე კიტრებით ვცემოთო!! დიდიხანია სცდილობენ აკრძალინონ ლ. ანდრეევის პიესა „ანათემა“, ანდრეევი თავის პიესაში „სარწმუნოების წინააღმდეგ მიდისო“ როგორც სჩანს მემარჯვენეების ცდას არ გაუჭრია. „რეჩი“-ს სიტყვით ბეჭდვითი საქმეთა მთავარ სამმართველოს გუბერნატორებისთვის ცირკულიარი დაუგზავნია, ანდრეევის „ანათემა“ ცენზურამ განიხილა და მასში სარწმუნოების საწინააღმდეგო არაფერია და ნუ აკრძალავთო.

**◆ სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვს: ნოვოჩერკასკში 4, ვორონეჟში 2, ტომსკში—2 (ადგილობრივ სემინარიის მოწაფეები, ბრალდებათ მღვდელ-მონოზან იგნატის მკვლელობა), ჩერნიგოვში 3, ვარშავაში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 1, პეტერბურგში 1, ტომსკში 2, უფაში 1, ვორონეჟში 2 კაცი.

**◆ რკინის გზებზედ.** ამ წლის 6 ნოემბერს გზათა მინისტრს შეუმუშავებია პოლიტიკურად არა საიმედო პირების რკინის გზებიდან დათხოვნის შესახებ წესები და საიდუმლოდ ყველა რკინის გზების უფროსებისთვის დაუგზავნია. ამ წესებთან ერთად გზათა მინისტრს რკინის გზების უფროსებისთვის დაუგზავნია საიდუმლო ცირკულიარი როგორც ამ ცირკულიარიდან სჩანს, რკინის გზების უფროსებს ევალებათ მოსამსახურეების მიღების დროს ყოველთვის შეეკითხონ დამცველ პოლიციას (ჟანდარმები), თუ რამდენად კეთილ საიმედოა ეს, თუ ის პირი. თუ დამცველი პოლიცია წინააღმდეგია ამა თუ იმ უფროს უნდა აცნობოს ეს, რკინის გზის უფროსი მოვალეა დაეთანხმოს დამცველ პოლიციას და თუ წინააღმდეგია საქმე შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრებთან უნდა განასახჩივროს.

**◆ სტატისტიკა.** მთავრობას ყოველ წლივ დიდ ზარალს აძლევენ რკინის გზები და რამდენიც დრო გადის ზარალიც მატულობს. „რუსკოე სლ.“-ს საინტერესო რიცხვები მოჰყავს. მთავრობას უზარალნია:

| | | |
|---|---|---|
| 1903 წ. . . | 20,561,695 | მანეთი |
| 1904 „ . . | 32,586,828 | „ |
| 1905 „ . . | 89,545,226 | „ |
| 1906 „ . . | 113,402,774 | „ |
| 1907 „ . . | 119,967,249 | „ |

## წერილი რედ. მიმართ

ამასთანავე ვგზავნით 62 მან. 30 კაპ. ჩემ-მიერ შეკრებილს ლეჩხუმს მაზრაში აკაკი წერეთლის ფონდის გასაძლიერებლათ. გთხოვთ ეს ფული გადასცეთ დანიშნულებისამებრ იგზავნება ფოსტით. სია ფულის შემომტანლებისა.*)

ამ საგნიათვის ფული კიდევ იკრიბება და გამოიგზავნება თავის დროზედ.

**თავ. იასონ დ. გელოვანი.**

*) სია არ მოგვსვლია, თუმცა ეს წერილი ერთი კვირის წინად მივიღეთ.

რედაქცია.


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—16)

**იშვიათი შემთხვევა**

2 მ. 85 კ.-დ

დამზადებული ქალის მშვენიერი საზამთრო ზედა იუბკა რბილ ტრიკოსი, ლამაზი, მკვიდრი, შეკერილი პარიზის უკანასკნელ მოდაზე. იგზავნება ფოსტით ფასდადებით, უბლოდ, გასაგზავნი ფასი 55 კ. ვინც ერთად სამ იუბკას დაიბარებს, გაგზავნის ფასი ჩვენია. საშიშო არაფერია: ვისაც არ მოეწონება, ფულს დაუბრუნებთ. ასეთივე იუბკა უკეთეს მატერიისა და უფრო ლამაზად დამზადებული 3 მან. 50 კ. ვთხოვთ მსურველთ, მოგვწერონ, რა სიგრძისა იყოს და აგრეთვე წელის რაოდენობა სანტიმეტრით ან წერილთან ერთად გამოგზავნონ ზომა. ციმბირში მეტი 80 კაპ.

ადრესი: фабрика А. Клвмана, Лодзь, N 18. (4—ფ.—1)

**კირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ :**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. ყარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საშარდო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1/4}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი :**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1/2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცინოვსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ.—1—229)

**სენსაციონური ამბავი**




200 მანეთად ღირებულ ოქროს საათის მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ საათი „ს ე ც ე ს ი ა“, რომელიც ფასონით და შნოთი არ ჩამოუვარდება ოქროსას. საათი ძალიან თხელია, ვერცხლის მანათიანის სითხისა, ამერიკულ ახალ ოქროსი, რომელიც თავის დღეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ შნოს, ორგინალურ დაჭდეულ ყ ვ ა ვ ი ლ თ ა სურათებით (იხ. სურათი) საათი „ს ე ც ე ს ი ა“ გამოირჩევა სწორი სიარულით და მხატვრულად შნოიანებულობით; ღერძები ქვებზეა, იმართება 40 საათში ერთხელ. ფასი 3 მ. 75 კ., 2—7 მ.; ამასთანავე ქალისა 4 მ. 75 კ., უ ფ ა ს ო დ ეძლევა ახალი ოქროს მშვენიერი ძეწკვი ბრელოკით და საათის შესანახად ზამშის ბუდე. საათი ეგზავნება გასინჯული, 6 წლის თავდებობით, ფას დადებით და უბლოდ. 2 ცალის გადაგზავნა 40 კ. (ციმბირში 75 კ.). ადრესი: Т-ВО „АККУРАТНОСТЬ“, ВАРШАВА, ОТДѢЛ. 94. ეს ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრა დააკრათ კონვერტზე. (Метцль и К-о № 76629) (5—6.—1)

—◀ გაზეთ „დროების“ რედაქციის კანტორაში ▶—

**მიიღება ხელის მოწერა**

Bâton-ის წიგნზე:

**„ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოციოლოგიურის მხრით“**

დაახლოვებით 250—300 გვ. ◆ ეხლავე ხელის მომწერთათვის ფასი 60 კ.

დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** ისიდ. კვიცარიძის წიგნის მაღაზიაში, **თელავში**—ივ. პაატაშვილთან. **ხონში**—გიგლა მებუკვ'თან.

გამომცემელი **მ. ხუცაშვილი.**

**კახეთის მევენახეთა ამხანაგობა**

**✦ ძ მ ო ბ ა ✦**

ამით აცხადებს, რომ კახეთში ღვინის მოუსავლობისა გამო ამა 1909 წ. 5 დეკემბერიდან შემდეგ ფასებში გაიყიდება ღვინოები

**თითო ბოთლი** № 1—25 კ., № 2—30 კ., № 3—50 კ. № 4 -80 კ. № 5—1 მანეთი

მუდმივ მუშტრებს და ნარდათ მოვაჭრებს °/₀°/₀ დაეთმობათ შეთანხმებით.

Адресъ: Тифлисъ, „Дзмоба“, Телефонъ № 1036. (3—562—3)

**კახეთის მევენახეთა ამხანაგობა**

**◀ ს ა ე რ ო ▶**

ამით აცხადებს, რომ ამა 1909 წლის 1 დეკემბრიდან ღვინოები შემდეგ ფასებში გაიყიდება:

№ 1—25 კ., № 2—30 კ., № 3—40 კ., № 4—50 კ., № 5—1 მ.

მუდმივ'ა და ნარდად მოვაჭრეებს რამდენიმე პროცენტი ეთმობათ.

Адресъ: Тифлисъ. „Саэро“. Телефонъ N 720. (3—561—3)

**სანერგე ამერიკულ ვაზისა**

„კლდე-უგურული“ ქუთაისში.

**● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●**

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—9)

**პროვოდნიკის**



ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т-ВО Р.-Ф. „ПРОВОДНИКЪ“ РИГА

1888

1897 წ.



ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

1908 წ.

**ამხანაგობა**

**რ ი გ ა შ ი**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**● იყიდება ნარდად და ცალობით: ●**

**ლინოლეუმი**, აყარებელი ერთფერიანი უზორებიანი,

**ასბესტის კარტონი,**

**ასბესტის და ტალკის ნაბივკა**

**◀ ა ხ ა ლ ი რ ა მ : ▶**

„**ს ა უ კ უ ნ ო**“ **ლინოლეუმი** უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.

**ლ ი ნ კ რ უ ს ტ ა** (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოვო თვალისთვის დასაუკეთესოე კონომიისთვის.